მწვანე ალტერნატივა

დაიცავი საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები

უთხოვარი საქართველოს მცენარეული სამყაროს ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია. ის მესამეული პერიოდის იშვიათი რელიქტია. გვხვდება საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, გავრცელებულია ყირიმში, ევროპაში, ხმელთაშუაზღვისპირეთში, მცირე აზიაში.

უთხოვარი წიწვოვანი მცენარეა. იგი სიმაღლეში 25 მეტრამდე იზრდება. წიწვები უფრო პატარა ფოთლებს წააგავს, რომლებიც სიგრძით 4 სმ-ს აღწევს, ხოლო სიგანით - 2მმ-ს. ზემოდან ისინი მუქი მწვანე და პრიალაა, ხოლო ქვემოდან - მოყვითალო მწვანე ან ღია მწვანე. უმეტესი წიწვოვნებისაგან განსხვავებით, უთხოვარს გირჩები არ აქვს და არც ფისოვან ნივთიერებას გამოყოფს. თესლი მაგარია, მურა ფერის, ოდნავ წაწვეტებული. იგი ჯერ მწვანეა და მშრალი, ხოლო მომწიფებისას - ხორცოვანი და წვნიანი, მოწითალო ფერის. უთხოვარის სიცოცხლის ხანგრძლივობამ შესაძლოა 4000 წელს მიაღწიოს, ამასთანავე ახასიათებს ზრდის ძალიან ნელი ტემპი. თესლს იძლევა 20-30 წლის ასაკში, ხოლო შედარებით დაბურულ ტყეებში კი 100 წელიც კი ჭირდება. უთხოვარი იშვიათი ხე-მცენარეა და ძირითადად ერთეული ხეების სახითაა ბუნებაში წარმოდგენილი წიფლნარებსა და მუხნარებში. იზრდება მთის ტყიან სარტყელში ზღვის დონიდან 1800-მდე. ჩვეულებრივ ცალკეული ხეების სახით გვხვდება, უფრო იშვიათად კი მცირე კორომებს ქმნის. აღმოსავლეთ საქართველოში, ახმეტის რაიონში, ბაწარას ხეობაში უთხოვარის კორომი 800 ჰექტარ ფართობზეა გავრცელებული. ზოგიერთი მცენარის ასაკი 2000 წელს უახლოვდება. ამ კორომის დასაცავად შექმნილია ბაწარას სახელმწიფო ნაკრძალი.

უთხოვარსქართულშისხვასახელებიცაქვს-ურთხელი,ურთხლი, წითელი ხე, უდამპალა. სახელი უდამპალა გვხვდება სახარების ტექსტშიც და ხაზს უსვამს მერქნის გამძლეობას, რომელიც არ ლპება წყალში. გადმოცემის მიხედვით, სვეტიცხოვლის ტაძრის ბალავერში უთხოვარის მორებია ჩალაგებული. ციხე-სიმაგრეების კედლებშიც ატანდნენ ხოლმე უთხოვარის ძელებს. თავად სახელი უთხოვარი კი აღნიშნავს, რომ მისი სიძვირფასის გამო მოჭრის ან ჩუქების თხოვნა არ შეიძლებოდა.

უთხოვარს აქვს მოწითალო, ლამაზი ფაქტურის მერქანი, რომელიც ძვირად ფასობს და გამოიყენება ავეჯის ნაწილების დასამზადებლად და ბინების ინტერიერის მოსაპირკეთებლად. მცენარე ასევე გამოიყენება დეკორატიული მიზნებისათვის პარკებსა და სკვერებში.



უთხოვარი შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, როგორც მოწყვლადი სახეობა. აქედან გამომდინარე, მისი მოჭრა სასტიკად არის აკრძალული. გარდა ჭრისა, ასევე აკრძალულია უთხოვარის ზეზეულ ხეებზე ნედლი ტოტების მოჭრა (სადღესასწაულო, რელიგიური, რიტუალური მიზნებით). კანონი კრძალავს არა მარტო ველურად მოზარდი უთხოვარისადმი ასეთი ქმედებების განხორციელებას, არამედ მკაცრ სანქციებს აწესებს დასახლებულ პუნქტებში, სკვერებსა და ბაღებში არსებული მწვანე ნარგავების დაზიანებისა და განადგურების წინააღმდეგ.

კანონის მიხედვით, უკანონოდ მოპოვებული უთხოვარის ტრანსპორტირების ფაქტზე გარემოს დაცვის ინსპექციისა და საბაჟო სამსახურების თანამშრომლებმა მკაცრი რეაგირება უნდა მოახდინონ.

აკრძალვების მიუხედავად, ჩვენს ქვეყანაში არსებული უკანონო ჭრებისა და კონტრაბანდის დიდი მასშტაბის ფონზე, ეს უნიკალური სახეობა არ არის სათანადოდ დაცული.

ამ უნიკალური მცენარის შენარჩუნებისათვის საჭიროა უთხოვარის ყველა ბუნებრივი კოროვი სახელმწიფოს მიერ დაცულად გამოცხადდეს და დეკორატიული მიზნით უფრო ინტენსიურად იქნეს გამოყენებული.

კონვენცია საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნითა და ფლორით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (CITES), ანუ ვაშინგტონის კონვენცია მიღებულია 1973 წელს. მის მიზანს წარმოადგენს ველური ფაუნისა და ფლორის უკანონო მოპოვებისა და მათი არალეგაური ვაჭრობის წინაღმდეგ ბრძოლა, ექსპორტ-იმპორტისა და საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტური კონტროლის გზით. ამ კონვენციას საქართველო 1996 წელს მიუერთდა. 1996 წელს CITES-ის სამდივნომ და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციამ ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რითაც აღიარეს საბაჟო სამსახურების უმნიშვნელოვანესი როლი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობების არალეგალური ვაჭრობის აღკვეთისა და ამ გზით მათი დაცვის საქმეში. აქედან გამომდინარე, გარდაუვალია ქვეყნის შიგნით CITES-ის ეროვნული ადმინისტრაციული ორგანოს, გარემოს დაცვის ინსპექციის, შესაბამისი სამეცნიერო ინსტიტუციებისა და საბაჟო სამსახურის მჭიდრო თანამშრომლობა. სწორედ ამ უკანასკნელი უწყების ვალდებულებაა არ მიიღოს და არ გაატაროს აღნიშნული კონვენციის დანართებში შეტანილი ფაუნისა და ფლორის სახეობების ნიმუშები შესაბამისი ნებართვისა და სერტიფიკატის გარეშე, დაადგინოს ნიმუშისა და სანებართვო დოკუმენტაციის შესაბამისობა. ასევე საბაჟო და გარემოს დაცვის სამსახურების ვალდებულებაა უკანონოდ მოპოვებული სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის აღკვეთა.

კონვენციას აქვს სამი დანათი, რომლებშიც ჩამოთვლილია სახეობები, რომელთაც საერთაშორისო ვაჭრობის გამო საფრთხე ემუქრებათ. კონვენციის თანახმად, საერთაშორისო ვაჭრობა ნიშნავს დანართებში შეტანილი მცენარეთა და ცხოველთა სახეობების ან მათი ნაწილების ნებისმიერ გადაადგილებას საზღვრებზე.

მაგალითისთვის, დანართებში შეტანილია კატისებრთა ოჯახის ყველა სახეობა, დათვისებრთა ოჯახის ყველა სახეობა, სპილოს ორივე სახეობა (ვაჭრობის ძირითად საგანს წარმოადგენს სპლოს ძვალი და მისგან დამზადებლი ნაკეთობები), ყველა თუთიყუში, გარდა ტალღოვანი თუთიყუშებისა და კარელებისა, ზუთხისნაირი თევზები (შეზღუდვა ეხება არა მარტო ცოცხალ ინდივიდებს, არამედ მათ ხორცსა და ხიზილალას.) და ა.შ. დიდი თუთიყუშები, ხიზილალა, სათალი, გველისა და ნიანგის ტყავისაგან დამზადებული ნაკეთობები - ყველა მათგანს უნდა გააჩნდეს სათანადო ნებართვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კონტრაბანდული გზით არის შემოტანილი ჩვენს ქვეყანაში.

კონტრაბანდისტები აუმრავ ხერხს იყენებენ აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში უკანონოდ მოპოვებული თუთიყუშების ფარულად გადმოსაყვანად: მალავენ მანქანის სათადარიგო საბურავში, აწყონენ სამგზავრო ჩანთებში ტანსაცმელთან ერთად, იტენიან ჯიბეებში და ა.შ. უამრავი არსება იხოცება ასეთ პირობებში, გადარჩენილები კი უცხო ქვეყნებში ზოოლოგიური მაღაზიებში ხვდებიან.

CITES-ის II დანართში შეტანილია საქართველოში გავრცელებული უთხოვარის მონათესავე რამდენიმე სახეობა. უთხოვარის ყველა სახეობა მჭიდროდ ენათესავება ერთმანეთს. ზოგიერთი ბოტანიკოსი განიხილავს მათ, როგორც ერთი ფართოდ გავრცელებული სახეობის ქვესახეობებს ან ვარიაციებს. ამ დაშვების თანახმად, მოცემული მცენარისათვის გამოყენებული უნდა იქნეს ლათინური სახელწოდება - თახუს ბაცცატა, ისე როგორც პირველად იყო მეცნიერულად აღწერილი უთხოვარი. შესაძლოა სწორედ ამიტომ, ზოგიერთ გამოცემაში ეს მცენარე მიჩნეულია CITES სახეობად.

კონვენციის III დანართი მოიცავს სახეობებს, რომლებიც თავად კონვენციის მხარის, ანუ ქვეყნის მიერ განისაზღვრება. ამ დანართში სახეობების შეტანა ხდება იმ ქვეყნის გადაწყვეტილებით, რომელიც მის ტერიტორიაზე გავრცელებული რომელიმე სახეობის დაცვისათვის ვაჭრობის კონტროლის განსახორციელებლად საჭიროებს სხვა ქვეყნის დახმარებას.

საქართველოში უთხოვარის შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანია ამ სახეობის შეტანა კონვენციის III დანართში.

თუ გსურს, რომ წვლილი შეიტანო ამ უნიკალური სახეობის გადარჩენაში მიიღე მონაწილეობა ჩვენს კამპანიაში, გააგზავნე თანდართული წერილი მითითებულ ადრესატთან.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა
საფოსტო მისამართი: თბილისი, 0162, ჭავჭავაძის გამზ. №62
ოფისის მისამართი: თბილისი, ყიფშიძის ქ. №5ᵃ, IV სადარბაზო, VII სართ.
ტელ: 22 38 74 / 22 16 04; ფაქსი: 22 38 74
ელ. ფოსტა: **greenalt@wanex.net**; ვებ-გვერდი: www.greenalt.org

მომზადებულია უკრაინაში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და საკვების ხარისხის საკითხებში მრჩეველის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით.